ოქმი:**ო03. 3723298001**

თარიღი:**25/10/2023**

ოქმი № 17

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2023 წელი, 20 ოქტომბერი

ქ.ოზურგეთი

12:00 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის

თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ.ღაჟონია, ბ.თოიძე, ქ. ხომერიკი, ლ.ბიგვავა, ს.ქარცივაძე, მ.ვაშალომიძე; ბ. მელუა.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი,რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულებისა და სარეზერვო ფონდის გამოყენების ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

კომისიის თავმჯდომრე გელა ჩავლეშვილმა, კომისიის წევრებს დეტალურად გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი. როგორც გელა ჩავლეშვილმა აღნიშნა, საანგარიშო პერიოდში დამტკიცებული ბიუჯეტის ცვლილება ორ გზის განხორციელდა. მისივე განმარტებით, შემოსულობების გეგმამ შესრულების მიმართულებით შეადგინა 79,1%. ასევე, კომისიის წევრებს დეტალურად წარუდგინა შესრულების, გადასახდელებისა და ხარჯების მაჩვენებლები. კომისიის თავმჯდომარის განცხადებით შემოსავლები ხასიათდება სტაბილურობით. არ არსებობს საფრთხე ბიუჯეტის წლიურ გეგმის ვერ შესრულების.

კომისიის წვრებმა კენჭი უყარეს დასკვნას, რომელიც დამტკიცდა 8 ხმით. (დასკვნა თან ერთვის)

გადაწყვიტეს:

კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი